20/08/2024

MES 5 24 0000990547

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2024 წლის 8 აგვისტოს 12:00 საათზე**. საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Time: Aug 8, 2024 12:00 PM Tbilisi
Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/89401416767?pwd=ueUOpQpbeFnICbsR2wZc8GKOg3Dbvx.1
Meeting ID: 894 0141 6767
Passcode: 764284

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:
ნინო ბაბალაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის დირექტორი (საბჭოს თავმჯდომარე);
გიორგი გამყრელიძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საბჭოს წევრი);
თეა გულუა - გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში, ცოდნის მართვის და ინოვაციების სპეციალისტი (საბჭოს წევრი);
ნინო ველთაური - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი (საბჭოს წევრი);
მარიკა ზაქარეიშვილი - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტის - ,,კერძო სექტორის ჩართულობა პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სისტემაში სამხრეთ კავკასიაში" ექსპერტი (საბჭოს მდივანი);
მარიამ ქუჩულორია - პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);
ნატო მებურიშვილი - სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);

მარიამ ნოზაძე - სსიპ - აწარმოე საქართველოში ადამიანური რესურსების მენეჯერი (საბჭოს წევრი);
სალომე სანაია - სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების მენეჯერი (საბჭოს წევრი);
ნათია გვირჯიშვილი - საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე (საბჭოს წევრი).

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
ნონა საათაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
სალომე ქუთათელაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

დაწესებულების წარმომადგენლები

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია
სოფიო მაჭარაშვილი - დირექტორი
ნანა ყუფუნია - ქართული სტუმარ-მასპინძლობის სკოლის პროექტის მენეჯერი
ალინა კუპრავა - აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
ნინო შერმაზანაშვილი - ქართული სტუმარ-მასპინძლობის სკოლის პროექტის დარგის ექსპერტი
ნინო თამაზაშვილი - ქართული სტუმარ-მასპინძლობის სკოლის პროექტის განათლების ექსპერტი
თეა ვაშაკიძე - ქართული სტუმარ-მასპინძლობის სკოლის პროექტის დარგის ექსპერტი
პაატა ლოლაშვილი - ქართული სტუმარ-მასპინძლობის სკოლის პროექტის დარგის ექსპერტი
თემურ გიგაური - ქართული სტუმარ-მასპინძლობის სკოლის პროექტის დარგის ექსპერტი
ვლადიმერ რამიშვილი - ქართული სტუმარ-მასპინძლობის სკოლის პროექტის დარგის ექსპერტი
ჟანა გამხიტაშვილი - ქართული სტუმარ-მასპინძლობის სკოლის პროექტის დარგის ექსპერტი

პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დარგის ექსპერტები:
რომანოს სუვარიანი
მაია მსხილაძე
მანუელ ფაუნდეს-ბარანდა
თეა ნარეკლიშვილი
თამთა კვინიკაძე

საბჭოს სხდომა დაიწყო 12:05 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულებების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა: რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ რეგულაციის მიხედვით, განადგურდება, და ასევე, ნებართვა მონაწილეთა ერთობლივი ფოტოს გადაღებაზე.

შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო სხდომის **დღის წესრიგი**:

1. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის „ბართენდერი“ /01993/ ქ. საჩხერეში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

2. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის „ქართული და საერთაშორისო პურ-ფუნთუშეულის ცხობა“ /02003/ ქ. საჩხერეში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

3. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის „ქართული და ევროპული საკონდიტრო ნაწარმის მომზადება“ /02001/ ქ. საჩხერეში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

4. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის „რესტორნის მომსახურე პერსონალი (მიმტანი)“ /01995/ ქ. საჩხერეში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

5. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის „სასტუმროს საუზმის ძირითადი კერძების მომზადება და სერვირება“ /01999/ ქ. საჩხერეში - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

6. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის „ქართული და საერთაშორისო კერძების მომზადება“ /02002/ ქ. საჩხერეში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

7. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის „სასტუმროს შენობის მოვლა-პატრონობის ტექნიკოსი“ /02000/ ქ. საჩხერეში - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

8. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის „ქართული მასპინძლობის ელემენტები სასტუმროს მომსახურებაში“ /02004/ ქ. საჩხერეში - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

9. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის „სასტუმროს მასპინძელი (მიღება-განთავსება)“ /01998/ ქ. საჩხერეში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

10. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის „სასტუმროს დაჯავშნა და შემოსავლების მართვა“ /01997/ ქ. საჩხერეში - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

11. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის „სასტუმროს დასუფთავების პერსონალი“ /01996/ ქ. საჩხერეში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

12. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის „მცირე და საშუალო ზომის სასტუმროების მართვა“ /01994/ ქ. საჩხერეში - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს სხდომა გაიმართა დღის წესრიგის მიხედვით.

1. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის „ბართენდერი“ /01993/ ქ. საჩხერეში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა რომანოს სუვარიანმა, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის პირველი ივლისის №783871 ბრძანების საფუძველზე დარგის ექსპერტმა რომანოს სუვარიანმა და ცენტრის წარმომადგენელმა ნონა საათაშვილმა 2024 წლის 23 ივლისს განახორციელეს ვიზიტი შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში, ქ. საჩხერეში, ივანე გომართელის 50ა, 52, სადაც განთავსებულია პროგრამის სასწავლო სივრცე. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა

პროფესიული მომზადების პროგრამის ,,ბართენდერი“ განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.
დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, რეკომენდაციები არ გაცემულა.
დარგის ექსპერტმა მოკლედ მიმოიხილა სამივე სტანდარტი ქვესტანდარტებით.
პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეა - მე-3, პროგრამის ხანგრძლივობა - 8 კვირა, სწავლების ენა - ქართული,
მსმენელთა რაოდენობა პროგრამაზე - 15, პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. საჩხერე, ივანე გომართელის 50ა, 52.
პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ საქართველოს ტურიზმის განვითარების ეროვნული სტრატეგიის თანახმად, 2025 წლისათვის საქართველო ერთ-ერთი წამყვანი ტურისტული ქვეყანა გახდება. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას, დაგეგმილი აქვს ქ. საჩხერეში განახორციელოს სტუმარმასპინძლობის მიმართულების 12 მოკლევადიანი პროგრამა.
მოთხოვნადი პროგრამების განხორციელებასთან ერთად, კოლეჯის მიმდებარედ შენდება საერთო საცხოვრებელი, რომელიც უზრუნველყოფს იმერეთის რეგიონში (არამარტო) ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის მიმართულების პროგრამებზე დაინტერესებულ პირთა განათლების მიღების ხელმისაწვდომობას და დასაქმების შესაძლებლობას. აღნიშნული პროგრამა ეყრდობა შრომის ბაზრის მოთხოვნებს. პროგრამა მოიცავს, როგორც ქართული, ასევე, საერთაშორისო სასმელების მომზადების ტექნოლოგიას, კლასიკური და საავტორო (ინოვაციური), ცხელი ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელების, უალკოჰოლო კოქტეილების და მიქსების მომზადებას, მომხმარებელთან ფინანსური პროცედურების წარმოებას და ბარის მართვის ელექტრონული სისტემის გამოყენებას, საქმიანობისას სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტების დაცვას და კოლეგებთან და სტუმრებთან ეფექტური კომუნიკაციის წესებს.
პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს, მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწვლის შედეგებთან. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა ასაკი :18 წელი; ასევე, ინგლისური ენა B1 დონე, აპლიკანტთა შერჩევის ფორმაა გასაუბრება.
პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით, წარმოდგენილი პროგრამა ითვალისწინებს 10 სწავლის შედეგის მიღწევას. პროფესიული მომზადების პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 8 კვირას, კვირაში - 20 საათი, სულ 160 სთ. პროფესიული მომზადების პროგრამით გათვალისწინებულია, როგორც თეორიული ცოდნის შეძენა, ასევე პრაქტიკული უნარების განვითარება. სწავლება განხორციელდება მაღალი კვალიფიკაციის და პრაქტიკული გამოცდილების მქონე სპეციალისტების მიერ. სწავლების პროცესში გამოყენებული იქნება მრავალფეროვანი სწავლების მეთოდები. პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას. ძირითადი აქცენტი პრაქტიკულ სწავლებაზეა გაკეთებული.
მსმენელთა მიერ ყველა პრაქტიკული სწავლის შედეგის მიღწევას დაწესებულება თავის ბაზაზე, შესაბამისად მოწყობილ და ყველა საჭირო/თანამედროვე ინვენტარით დაკომპლექტებულ იმიტირებულ სასწავლო C გარემოში უზრუნველყოფს.
მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას.
პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსით.
სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით. დაწესებულება აცნობიერებს საკუთარ, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის როლსა და ადგილს შესაბამისი დარგის

განვითარებაში. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია ქალაქ საჩხერეში 2019 წლიდან ეწევა საგანმანათლებლო საქმიანობას, კოლეჯმა ფუნქციონირება 4 გრძელვადიანი და 4 მოკლევადიანი პროგრამით დაიწყო. 2024 წელს, აკადემიამ 2900 კვ. მეტრის თანამედროვე ინფრასტრუქტურითა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვილი ახალი შენობა ააშენა, სადაც განთავსდა პირველი „ქართული სტუმარმასპინძლობის სკოლა“ (პროექტი ხორციელდება USAID-ის პროგრამის „დამსაქმებლები პროფესიული განათლებისთვის“ მხარდაჭერით).
დაწესებულების შენობა-ნაგებობა სრულიად აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს, ითვალისწინებს სტუდენტებსა და მსმენელებზე გათვლილ, მათ საჭიროებებზე მაქსიმალურად მორგებულ სასწავლო გარემოს, რეკრეაციულ და დასასვენებელ სივრცეებს. აკადემია საჩხერეში განახორციელებს 6 გრძელვადიან, 12 და მიმდინარე 3 მოკლევადიან პროგრამას (ჯამში 15 მოკლევადიან პროგრამას განხორციელების უფლების მოპოვების შემდეგ).
კოლეჯი აწარმოებს მსმენელთა შერჩევის გამჭვირვალე პროცედურებს, რომელიც შესაბამისობაშია პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან და პირობებთან. დაწესებულება საზოგადოების ინფორმირებას ახდენს როგორც ვებ-გვერდის და სოციალური ქსელის მეშვეობით, ასევე, სპეციალურად აღნიშნულ საქმიანობაზე პასუხისმგებელი პირის მიერ დაგეგმილი აქტივობებით.
საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტური განხორციელებისთვის იყენებს საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტურ მექანიზმებს, რაც დასტურდება წარმოდგენილი მექანიზმებით. დაწესებულება კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს მონაცემთა ელექტრონულ სისტემაში ასახვას.
აკადემია თანამშრომლობს მის საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან, ახორციელებს დროულ ანგარიშგებას და ინფორმაციის მიწოდებას. დაწესებულებაში ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, შესაბამისად დაწესებულება თანამშრომლობს მის საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან და სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან, ახორციელებს დროულ ანგარიშგებას და ინფორმაციის მიწოდებას. დაწესებულებაში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში Eflow.
შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია გასცემს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის შესაბამისად მომზადებულ კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტებს. საქმისწარმოების წესში აკადემიას გაწერილი აქვს სერთიფიკატის გაცემის წესი, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა უკვე დაადასტურა სერთიფიკატის ფორმის პროექტი, ქართული და ინგლისური ენების ტექსტების ენობრივი სისწორე. სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ გაატარა მკაცრი აღრიცხვის ფორმა და მინიჭებული აქვს რეგისტრაციის ნომერი.
პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს და ცენტრის წარმომადგენლებს, რომ დარგის ექსპერტებს წარედგინათ პრეზენტაციები, ხოლო შემდეგ პირველი-მეექვსე საკითხების კენჭისყრა განხორციელებულიყო ერთად.

დარგის ექსპერტმა მაია მსხილაძემ მიმართა საბჭოს თავმჯდომარეს, რომ შემდეგ ორ საკითხს წარადგენდა ერთად, რაზეც საბჭოს წევრებმა თანხმობა განაცხადეს.

2. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის „ქართული და საერთაშორისო პურ-ფუნთუშეულის ცხობა“ /02003/ ქ. საჩხერეში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

3. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის „ქართული და ევროპული საკონდიტრო ნაწარმის მომზადება“ /02001/ ქ. საჩხერეში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადებს, პროგრამებს და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს.

საკითხები საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა მაია მსხილაძემ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) 2024 წლის 01 ივლისის №783878 და №781518 ბრძანებების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, ნონა საათაშვილმა და დარგის ექსპერტმა, მაია მსხილაძემ 2024 წლის 25 ივლისს განახორციელეს ვიზიტი შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში, ქ. საჩხერეში, ივანე გომართელის 50ა, 52, სადაც განთავსებულია პროგრამის სასწავლო სივრცე. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული მომზადების პროგრამების „ქართული და საერთაშორისო პურ-ფუნთუშეულის ცხობა“ და „ქართული და ევროპული საკონდიტრო ნაწარმის მომზადება“ განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, რეკომენდაციები არ გაცემულა.

დარგის ექსპერტმა მოკლედ ისაუბრა აღნიშნული განაცხადების შეფასებასთან დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ ორივე პროგრამის შემთხვევაში ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეა - მესამე, „ქართული და საერთაშორისო პურ-ფუნთუშეულის ცხობა“ პროგრამის ხანგრძლივობაა 13 კვირა, ხოლო „ქართული და ევროპული საკონდიტრო ნაწარმის მომზადება“ პროგრამის ხანგრძლივობა - 12 კვირა. ორივე პროგრამაზე მსმენელთა ზღვრული რაოდენობაა - 15.

წარმოდგენილი პროგრამების მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, ანალოგიური პროგრამები იმერეთის რეგიონში არ ხორციელდება, შესაბამისად, აკადემია იქნება ერთადერთი დაწესებულება, რომელიც მოამზადებს პირებს შესაბამისი უნარებით.

წარმოდგენილი პროგრამები უკავშირდება შრომის ბაზრის მოთხოვნებს, რაც დასტურდება ელ. სისტემაში წარმოდგენილი ინფორმაციით პროგრამების საჭიროების დასაბუთების შესახებ. აღნიშნულ პროგრამებზე დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება, აპლიკანტთა შერჩევის ფორმაა - გასაუბრება.

პროგრამების სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, უნარით ან/და კომპეტენციით.

პროგრამები ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას, მსმენელთა მიერ ყველა პრაქტიკული სწავლის შედეგის მიღწევას დაწესებულება თავის ბაზაზე, შესაბამისად მოწყობილ და ყველა საჭირო/თანამედროვე ინვენტარით დაკომპლექტებულ იმიტირებულ სასწავლო C გარემოში უზრუნველყოფს. აღნიშნულ პროგრამებში მსმენელების შეფასებისთვის გამოყენებული იქნება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. განმსაზღვრელი შეფასება ჩატარდება პროგრამის ბოლოს, შეფასდება მსმენელების თეორიული ცოდნა (გამოკითხვა) და პრაქტიკული უნარები (პრაქტიკული დავალება, პრაქტიკული დავალება დაკვირვებით).
წარმოდგენილი პროგრამები უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსით. თითოეული პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნება მინიმუმ 4-5 განმახორციელებელი პირი. ვიზიტის დროს განხორციელდა გასაუბრება პროგრამის განმახორციელებელ პირებთან, რითაც დადასტურდა მათი კვალიფიციურობა დარგის მიმართულებით.
დაწესებულებას პროგრამის მიზნებისათვის აქვს A სასწავლო გარემო, სადაც განთავსებულია შესაბამისი სასწავლო გარემოსთვის საჭირო ინვენტარი, ასევე, B გარემო შესაბამისი პროგრამის სწავლებისათვის და აქვს C გარემო, სადაც განთავსებულია ყველა საჭირო ინვენტარი. მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სრულად უზრუნველყოფს პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარებას. დაწესებულებას თითოეული პროგრამისთვის წარმოდგენილი აქვს სასწავლო რესურსი, რაც ძირითადად ელექტრონული ფორმით არის ხელმისაწვდომი.
პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

საბჭოს სხდომას მეოთხე საკითხის დაწყებამდე შემოუერთდა საბჭოს წევრი მარიამ ქუჩულორია

4. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის „რესტორნის მომსახურე პერსონალი (მიმტანი)“ /01995/ ქ. საჩხერეში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

5. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის „სასტუმროს საუზმის ძირითადი კერძების მომზადება და სერვირება“ /01999/ ქ. საჩხერეში - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

6. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის „ქართული და საერთაშორისო კერძების მომზადება“ /02002/ ქ. საჩხერეში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადებს, პროგრამებს და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს.

საკითხები საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა მანუელ ფაუნდეს-ბარანდამ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) 2024 წლის 01 ივლისის №783872, №783875 და №783877 ბრძანებების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, ნონა საათაშვილმა და დარგის ექსპერტმა, მანუელ ფაუნდეს-ბარანდამ განახორციელეს ვიზიტი შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში, ქ. საჩხერეში, ივანე გომართელის 50ა, 52, სადაც განთავსებულია პროგრამის სასწავლო სივრცე. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული მომზადების პროგრამების „სასტუმროს საუზმის ძირითადი კერძების მომზადება და სერვირება“, „ქართული და საერთაშორისო კერძების მომზადება“ და „რესტორნის მომსახურე პერსონალი (მიმტანი)“ განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, რეკომენდაციები არ გაცემულა.

დარგის ექსპერტმა მოკლედ ისაუბრა წარმოდგენილი განაცხადების შეფასებასთან დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ „სასტუმროს საუზმის ძირითადი კერძების მომზადება და სერვირება“ პროფესიული გადამზადების პროგრამის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეა - მეოთხე, პროგრამის ხანგრძლივობა - 12 კვირა, „ქართული და საერთაშორისო კერძების მომზადება“/ხანგრძლივობა - 20 კვირა და „რესტორნის მომსახურე პერსონალი (მიმტანი)“ /ხანგრძლივობა - 9 კვირა პროფესიული მომზადების პროგრამების ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეა - მესამე, სამივე პროგრამაზე მსმენელთა ზღვრული რაოდენობაა 15.

წარმოდგენილი პროგრამები უკავშირდება შრომის ბაზრის მოთხოვნებს, რაც დასტურდება ელ. სისტემაში წარმოდგნილი ინფორმაციით პროგრამების საჭიროების დასაბუთების შესახებ. აღნიშნულ პროფესიული მომზადების პროგრამებზე დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება, ასაკი - 18 წელი, ასევე, ინგლისური ენა B1 დონის შესაბამისი ცოდნა. აპლიკანტთა შერჩევის ფორმაა - გასაუბრება. ხოლო პროფესიული გადამზადების პროგრამაზე - სამუშაო გამოცდილება, ასევე, მზარეულის ან/და მზარეულის დამხმარის პოზიციაზე მუშაობის მინიმუმ 6 თვიანი გამოცდილება.

პროგრამების სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, უნარით ან/და კომპეტენციით.

პროგრამები ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას, სწავლება განხორციელდება დაწესებულების A, B და C სასწავლო გარემოში. პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამებით გათვალისწინებულია, როგორც თეორიული ცოდნის შეძენა, ასევე, პრაქტიკული უნარების განვითარება, თუმცა ძირითადი აქცენტი პრაქტიკულ სწავლებაზეა გაკეთებული. მსმენელთა მიერ ყველა პრაქტიკული სწავლის შედეგის მიღწევას დაწესებულება თავის ბაზაზე, შესაბამისად მოწყობილ და ყველა საჭირო/თანამედროვე ინვენტარით დაკომპლექტებულ იმიტირებულ სასწავლო C გარემოში უზრუნველყოფს.

წარმოდგენილი პროგრამები უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსით. თითოეული პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნება მინიმუმ 5-6 განმახორციელებელი პირი. ვიზიტის დროს განხორციელდა გასაუბრება პროგრამის განმახორციელებელ პირებთან, რითაც დადასტურდა მათი კვალიფიციურობა დარგის მიმართულებით.

დაწესებულებას პროგრამის მიზნებისათვის აქვს A სასწავლო გარემო, სადაც განთავსებულია შესაბამისი სასწავლო გარემოსთვის საჭირო ინვენტარი, ასევე, B გარემო შესაბამისი პროგრამის სწავლებისათვის და აქვს C გარემო, სადაც განთავსებულია ყველა საჭირო ინვენტარი. მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სრულად უზრუნველყოფს პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარებას. დაწესებულებას თითოეული პროგრამისთვის წარმოდგენილი აქვს სასწავლო რესურსი, რაც ძირითადად ელექტრონული ფორმით არის ხელმისაწვდომი.
პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.
ნინო ბაბალაშვილმა მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტებს შთამბეჭდავი პრეზენტაციების წარდგენისთვის, მადლობა გადაუხადა ასევე საბჭოს აპარატს.
ნანი დალაქიშვილმა მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტებს, საბჭოს თავმჯდომარეს შეფასებისთვის და დასძინა, რომ სასიხარულოა ამდენი პროვაიდერის შემოსვლა ფორმალური განათლების სივრცეში.
დაწესებულების დირექტორმა, სოფიო მაჭარაშვილმა, მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს, განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტებს, დასძინა, რომ ეს ნამდვილად თანამშრომლობითი პროცესი იყო.
ქართული სტუმარ-მასპინძლობის სკოლის პროექტის მენეჯერმა ნანა ყუფუნიამ განაცხადა, ეს პროცესი ნამდვილად მასტერკლასი იყო, დარგის ექსპერტების და პროგრამის განმახორციელებელი პირების გამოცდილების გაცვლამ ახალი იდეების გენერირებას ჩაუყარა საფუძველი. მან კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა დარგის ექსპერტებს, ცენტრის წარმომადგენლებს და დაწესებულებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები წარმოდგენილ საკითხებთან დაკავშირებით, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ დღის წესრიგის მიხედვით კენჭისყრაზე დააყენა პირველი-მეექვსე საკითხი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის „ბართენდერი“ /01993/ ქ. საჩხერეში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთ შეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას (ს/კ: 406056173) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ბართენდერი /01993/ ქ. საჩხერეში **(დანართი 1)**.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის „ქართული და საერთაშორისო პურ-ფუნთუშეულის ცხობა“ /02003/ ქ. საჩხერეში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას (ს/კ: 406056173) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ქართული და საერთაშორისო პურ-ფუნთუშეულის ცხობა /02003/ ქ. საჩხერეში **(დანართი 2).**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის „ქართული და ევროპული საკონდიტრო ნაწარმის მომზადება“ /02001/ ქ. საჩხერეში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას (ს/კ: 406056173) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ქართული და ევროპული საკონდიტრო ნაწარმის მომზადება /02001/ ქ. საჩხერეში **(დანართი 3).**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის „რესტორნის მომსახურე პერსონალი (მიმტანი)“ /01995/ ქ. საჩხერეში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული

პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას (ს/კ: 406056173) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - რესტორნის მომსახურე პერსონალი (მიმტანი) /01995/ ქ. საჩხერეში **(დანართი 4).**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის „სასტუმროს საუზმის ძირითადი კერძების მომზადება და სერვირება“ /01999/ ქ. საჩხერეში - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, 1. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას (ს/კ: 406056173) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - სასტუმროს საუზმის ძირითადი კერძების მომზადება და სერვირება /01999/ ქ. საჩხერეში **(დანართი 5).**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის „ქართული და საერთაშორისო კერძების მომზადება“ /02002/ ქ. საჩხერეში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, 1. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას (ს/კ: 406056173) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ქართული და საერთაშორისო კერძების მომზადება /02002/ ქ. საჩხერეში **(დანართი 6).**

7. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის „სასტუმროს შენობის მოვლა-პატრონობის ტექნიკოსი“ /02000/ ქ. საჩხერეში - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა თეა ნარეკლიშვილმა, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის პირველი ივლისის №783869 ბრძანების საფუძველზე დარგის ექსპერტმა თეა ნარეკლიშვილმა და ცენტრის წარმომადგენელმა ნონა საათაშვილმა 2024 წლის 25 ივლისს განახორციელეს ვიზიტი შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში, ქ. საჩხერეში, ივანე გომართელის 50ა, 52, სადაც განთავსებულია პროგრამის სასწავლო სივრცე. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული გადამზადების პროგრამის „სასტუმროს შენობის მოვლა-პატრონობის ტექნიკოსი“ განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

აღსანიშნავია, რომ პროფესიული გადამზადების პროგრამა ,,სასტუმროს შენობის მოვლა-პატრონობის ტექნიკოსი“ ახალია და მნიშვნელოვნად მოთხოვნადი ქართულ ბაზარზე. ვიზიტის დროს ექსპერტისა და ცენტრის წარმომადგენლის მიერ განხორციელდა გასაუბრება კოლეჯის ადმინისტრაციასთან, პროგრამის განმახორციელებელ პირებთან, ასევე, გადამოწმდა პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური და სასწავლო რესურსი, სასწავლო გარემო, როგორც A, ასევე B და პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის C გარემო. ვიზიტი განხორციელდა ასევე, აკადემიის პარტნიორ ორგანიზაციაში - სასტუმრო „ბერნი 2018“-ში, სადაც ურთიერთპარტნიორობის (28.05.2024 წ.) ხელშეკრულების თანახმად, სასტუმროს უფლებამოსილი პირი, დირექტორი ვალდებულებას იღებს, USAID-ის პროგრამის “დამსაქმებლები პროფესიული განათლებისთვის“ და ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების N015-C3-004-2023-4 (01.12.2023წ.) შესაბამისად, „ქართული სტუმარ-მასპინძლობის სკოლის“ პროექტის ფარგლებში, პროფესიული გადამზადების პროგრამის „სასტუმროს შენობის მოვლა-პატრონობის ტექნიკოსის“ სწავლის შედეგების მისაღწევად, უზრუნველყოს მსმენელების პრაქტიკა რეალურ სამუშაო გარემოში.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, გაიცა რეკომენდაცია 1.6 ქვესტანდარტთან მიმართებაში

რეკომენდაცია

ქვესტანდარტი 1.6 - პროგრამაში მერვე სწავლის შედეგისთვის - ,,შენობის მართვის ელექტრონული სისტემების (BMS; RMS; Opera PMS) დახასიათება“, ტექნიკურად გამორჩენილია B გარემოს მითითება, მითუმეტეს კოლეჯს B გარემოში ამ სისტემებთან ლიცენზირებული წვდომის შესაძლებლობა გააჩნია.
დარგის ექსპერტმა მოკლედ მიმოიხილა წარმოდგენილი პროგრამის სტანდარტები ქვესტანდარტებით.
პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ პროგრამის სახეა - გადამზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მეხუთე, პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში - 13, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 15, პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. საჩხერე, ი. გომართელის 50ა, 52.
პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს პროფესიული გადამზადების პროგრამის ,,სასტუმროს შენობის მოვლა-პატრონობის ტექნიკოსი“ მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირების ცხრილი, სადაც გაწერილია, რომ ბოლო წლებში სტუმარ-მასპინძლობის სექტორში მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა;
ტურისტების მზარდი რაოდენობის დასაკმაყოფილებლად მათი განსახლების და სასტუმროების სექტორი ფართოვდება, მათ შორის იმერეთში. ამან ხელი შეუწყო მცირე ზომის საოჯახო სასტუმროების ზრდას, რომლებიც სულ უფრო თვალსაჩინო და ხელმისაწვდომი ხდება ტურისტებისთვის.
საქართველოს ტურიზმის სტრატეგიის მიხედვით ჯერ კიდევ არის გარკვეული გამოწვევები ქვეყნის მასშტაბით მაღალი ხარისხის მომსახურების შეთავაზება ვიზიტორებისათვის, განსაკუთრებით, დედაქალაქის გარეთ, სადაც ტურიზმის განვითარების პოტენციალი ყველაზე მაღალია.
 წარმოდგენილი პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს, მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული.
პროფესიული გადამზადების პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა შემდეგი - პირს უნდა ჰქონდეს პროფესიული ან/და უმაღლესი განათლება საინჟინრო მიმართულებით ან/და ელექტრიკოსის/სანტექნიკოსის პოზიციაზე მუშაობის არანაკლებ 6 თვიანი სამუშაო გამოცდილება. პროგრამის შინაარსიდან და მიზნიდან გამომდინარე, პროგრამაზე საინჟინრო მიმართულების განათლების მქონე პირთა დაშვების წინაპირობა მისაღწევი სწავლის შედეგების ადეკვატურია და ამასთან, შეესაბამება კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, შრომის უსაფრთხოებასთან მიმართებაშიც. აპლიკანტთა შერჩევის ფორმას წარმოადგენს - გასაუბრება - პროფესიის მოსინჯვის მეთოდით. პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, უნარით ან/და კომპეტენციით.
პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას, პროფესიული გადამზადების პროგრამით გათვალისწინებულია როგორც თეორიული ცოდნის შეძენა, ასევე პრაქტიკული უნარების განვითარება, თუმცა ძირითადი აქცენტი პრაქტიკულ სწავლებაზეა გაკითებული. ადგილზე სახელოსნოს სამუშაო გარემო და გამოცდილება, მსმენელებს განუვითარებს რეალურ სამუშაო გარემოში მუშაობის უნარ-ჩვევებს, აუმაღლებს თვითშეფასების გრძნობას, რაც დაეხმარება მათ როგორც დასაქმებაში, ისე თვითდასაქმებაში. აგრეთვე პარტნიორი ორგანიზაცია სასტუმრო „ბერნი 2018“ იღებს პასუხისმგებლობას, მის ობიექტზე მოხდეს გარკვეული სასწავლო აქტივობების განხორციელება.
დარგის ექსპერტმა განმარტა, რომ ვინაიდან წარმოდგენილი პროგრამები ერთი და იმავე დაწესებულებას აქვს წარმოდგენილი, ყურადღებას გაამახვილებდა პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით განსხვავებულად შეფასებულ ქვესტანდარტებზე.
წარმოდგენილი პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსით. პროგრამის განხორციელებაში ჩართული

იქნება 3 განმახორციელებელი პირი. ვიზიტის დროს განხორციელდა გასაუბრება პროგრამის განმახორციელებელ პირებთან, რითაც დადასტურდა მათი კვალიფიციურობა დარგის მიმართულებით.
დაწესებულებას პროგრამის მიზნებისათვის აქვს A სასწავლო გარემო, სადაც განთავსებულია შესაბამისი სასწავლო გარემოსთვის საჭირო ინვენტარი. ასევე ეზოში აქვს სახელოსნო, სადაც განთავსებულია საჭირო ინვენტარიც, შესაბამისად, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სრულად უზრუნველყოფს პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარებას.
ვიზიტის დროს დათვალიერებული იქნა დაწესებულების აუდიტორია და მისი აღჭურვილობა, რის საფუძველზეც დასტურდება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსის უზრუნველყოფა, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. დაწესებულებას პროგრამისთვის წარმოდგენილი აქვს სასწავლო რესურსი, რაც ძირითადად ელექტრონული ფორმით არის ხელმისაწვდომი.
პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს და კიდევ ერთხელ დააფიქსირა, რომ ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესო პროგრამა იქნა წარმოდგენილი. მან დასძინა, რომ მოესმინათ შემდეგი საკითხების წარმდგენ დარგის ექსპერტისთვის და შემდეგ ექვს საკითხს ერთად დააყენებდა კენჭისყრაზე.

8. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის „ქართული მასპინძლობის ელემენტები სასტუმროს მომსახურებაში“ /02004/ ქ. საჩხერეში - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

9. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის „სასტუმროს მასპინძელი (მიღება-განთავსება)“ /01998/ ქ. საჩხერეში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

10. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის „სასტუმროს დაჯავშნა და შემოსავლების მართვა“ /01997/ ქ. საჩხერეში - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

11. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის „სასტუმროს დასუფთავების პერსონალი“ /01996/ ქ. საჩხერეში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

12. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის „მცირე და საშუალო ზომის სასტუმროების მართვა“ /01994/ ქ. საჩხერეში - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადებს, პროგრამებს და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს.
საკითხები საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა თამთა კვინიკაძემ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) 2024 წლის 01 ივლისის №783870, №783868, №643717, №783865, №783863 ბრძანებების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროს სპეციალისტმა, მაია აბდალაძემ და დარგის ექსპერტმა, თამთა კვინიკაძემ შეისწავლეს შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების „ქართული მასპინძლობის ელემენტები სასტუმროს მომსახურებაში“, „სასტუმროს მასპინძელი (მიღება-განთავსება)“, „სასტუმროს დაჯავშნა და შემოსავლების მართვა“, „სასტუმროს დასუფთავების პერსონალი“ და „მცირე და საშუალო ზომის სასტუმროების მართვა“ განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადები და განახორციელეს ვიზიტი შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში, ქ. საჩხერეში, ივანე გომართელის 50ა, 52, სადაც განთავსებულია პროგრამის სასწავლო სივრცე.
წარმოდგენილ პროგრამებთან მიმართებაში ხარვეზი არ გამოვლენილა, რეკომენდაციები არ გაცემულა.
აღნიშნული პროგრამების პარამეტრებთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ პროფესიული მომზადების პროგრამების „სასტუმროს დასუფთავების პერსონალის“ (8 კვირა) და „სასტუმროს მასპინძლის (მიღება-განთავსება)“ (13 კვირა) ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეა მესამე და მეოთხე, ხოლო პროფესიული გადამზადების პროგრამების „მცირე და საშუალო ზომის სასტუმროების მართვა“ (8 კვირა), „სასტუმროს დაჯავშნა და შემოსავლების მართვა“ (12 კვირა) და „ქართული მასპინძლობის ელემენტები სასტუმროს მომსახურებაში“ (13 კვირა) ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეა - მეოთხე და მეხუთე. ხუთივე პროგრამაზე მსმენელთა ზღვრული რაოდენობაა - 15.
პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პროგრამები უკავშირდება შრომის ბაზრის მოთხოვნებს და დასაქმების / მეწარმეობის/პიროვნული განვითარების პერსპექტივებს, რაც დასტურდება ელექტრონულ სისტემაში ატვირთული ინფორმაციით აღნიშნული პროგრამების საჭიროების დასაბუთების შესახებ.
წარმოდგენილი პროგრამების სახელწოდება შეესაბამება პროგრამების შინაარსს, მიზანი აღნიშნულ პროგრამებში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული.
პროგრამებზე დაშვების წინაპირობები მისაღწევი სწავლის შედეგების ადეკვატურია და უზრუნველყოფს ისეთ მსმენელთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას პროგრამის განხორციელების ვადაში.
პროგრამების სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, უნარით ან/და კომპეტენციით.
პროგრამები ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას და ორიენტირებულია პროფესიული პრაქტიკული უნარების გამომუშავებისთვის, რასაც დაახლოებით პროგრამის მეტი წილი ეთმობა. აღნიშნულ პროგრამებში მსმენელების შეფასებისთვის გამოყენებული იქნება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმსაზღვრელი შეფასება ჩატარდება პროგრამის ბოლოს, შეფასდება მსმენელების თეორიული ცოდნა (გამოკითხვა) და პრაქტიკული უნარები (პრაქტიკული დავალება, პრაქტიკული დავალება დაკვირვებით).
წარმოდგენილი პროგრამები უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსით. თითოეული პროგრამის განხორციელებაში ჩართულია დარგის წარმომადგენლების საკმარისი რაოდენობა. ვიზიტის დროს განხორციელდა გასაუბრება პროგრამის განმახორციელებელ პირებთან, რითაც კიდევ ერთხელ დადასტურდა მათი კვალიფიციურობა დარგის მიმართულებით. პროგრამები უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით პროფესიული მომზადების პროგრამაში, აღჭურვილობის ნაწილში გაწერილი აღჭურვილობა საკმარისია და დაწესებულებამ წარმოადგინა ადგილზე, როგორც აღჭურვილობა, ასევე შესყიდვის დოკუმენტაცია.
დაწესებულებას თითოეული პროგრამისთვის წარმოდგენილი აქვს სასწავლო რესურსი, რაც ძირითადად ელექტრონული ფორმით არის ხელმისაწვდომი, სასწავლო რესურსი ფარავს ყველა სწავლის შედეგს.
პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი პროგრამები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის „სასტუმროს შენობის მოვლა-პატრონობის ტექნიკოსი“ /02000/ ქ. საჩხერეში - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას (ს/კ: 406056173) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - სასტუმროს შენობის მოვლა-პატრონობის ტექნიკოსი /02000/ ქ. საჩხერეში **(დანართი 7).**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის „ქართული მასპინძლობის ელემენტები სასტუმროს მომსახურებაში“ /02004/ ქ. საჩხერეში - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 10

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას (ს/კ: 406056173) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - ქართული მასპინძლობის ელემენტები სასტუმროს მომსახურებაში /02004/ ქ. საჩხერეში **(დანართი 8).**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის „სასტუმროს მასპინძელი (მიღება-განთავსება)“ /01998/ ქ. საჩხერეში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას (ს/კ: 406056173) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - სასტუმროს მასპინძელი (მიღება-განთავსება) /01998/ ქ. საჩხერეში **(დანართი 9).**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის „სასტუმროს დაჯავშნა და შემოსავლების მართვა“ /01997/ ქ. საჩხერეში - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების,

მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას (ს/კ: 406056173) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - სასტუმროს დაჯავშნა და შემოსავლების მართვა /01997/ ქ. საჩხერეში **(დანართი 10).**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის „სასტუმროს დასუფთავების პერსონალი“ /01996/ ქ. საჩხერეში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას (ს/კ: 406056173) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - სასტუმროს დასუფთავების პერსონალი /01996/ ქ. საჩხერეში **(დანართი 11).**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის „მცირე და საშუალო ზომის სასტუმროების მართვა“ /01994/ ქ. საჩხერეში - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას (ს/კ: 406056173) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - მცირე და საშუალო ზომის სასტუმროების მართვა /01994/ ქ. საჩხერეში **(დანართი 12).**

კენჭისყრის დასრულების შემდეგ საბჭოს თავჯდომარემ კიდევ ერთხელ მიულოცა დაწესებულებას და წარმატებები უსურვა, მან დასძინა, რომ წარმატებული იქნებოდა ამ პროგრამების განხორციელება.

დაწესებულების დირექტორმა კიდევ ერთხელ მადლობა გადაუხადა ყველა ჩართულ პირს, ყველა ჩართულ მხარეს და დასძინა, რომ მნიშვნელოვანია ღირსეული გუნდის არსებობა.
ნანი დალაქიშვილმა კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა ყველას, დარგის ექსპერტებს საინტერესო პრეზენტაციებისთვის, საბჭოს აპარატს და დაწესებულებას ასეთი მნიშვნელოვანი საქმის წამოწყებისთვის, საინტერესო პროგრამების წარმოდგენისთვის.
საბჭოს წევრმა ნინო ველთაურმა მიულოცა დაწესებულებას და წარმატებები უსურვა.
შემაჯამებელი სიტყვით დამსწრე საზოგადოებას მიმართა ნანა ყუფუნიამ, ქართული სტუმარ-მასპინძლობის სკოლის პროექტის მენეჯერმა. მან მადლობა გადაუხადა საბჭოს თავმჯდომარეს, ასევე პროფესიული განათლების ყველა გულშემატკივარს, ასევე, დაწესებულებას, პროექტში აქტიური და კვალიფიციური ჩართულობისთვის.
ასევე, მადლობა გადაუხადა დონორ ორგანიზაციას მხარდაჭერისთვის, საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს, პროფესიული უნარების სააგენტოს და პარტნიორ ბიზნეს ორგანიზიციებს მხარდაჭერისთვის.

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დასრულდა: 14:35 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბაბალაშვილი ნინო

ნ. ბაბალ

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
ზაქარეიშვილი მარიკა

მ. ზ

დანართი 1

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01993	ბართენდერი	პროფესიული მომზადება	მესამე	8	ქართული	15	ქ. საჩხერე, ივ. გომართელის 50ა, 52

დანართი 2

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02003	ქართული და საერთაშორისო პურ-ფუნთუ-შეულის ცხობა	პროფესიული მომზადება	მესამე	12	ქართული	15	ქ. საჩხერე, ივ. გომართელის 50ა, 52

დანართი 3

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02001	ქართული და ევროპული საკონდიტრო ნაწარმის მომზადება	პროფესიული მომზადება	მესამე	13	ქართული	15	ქ. საჩხერე, ივ. გომართელის 50ა, 52

დანართი 4

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01995	რესტორნის მომსახურე პერსონალი (მიმტანი)	პროფესიული მომზადება	მესამე	9	ქართული	15	ქ. საჩხერე, ივ. გომართელის 50ა, 52

დანართი 5

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01999	სასტუმროს საუზმის ძირითადი კერძების მომზადება და სერვირება	პროფესიული გადამზადება	მეოთხე	12	ქართული	15	ქ. საჩხერე, ივ. გომართელის 50ა, 52

დანართი 6

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02002	ქართული და საერთაშორისო კერძების მომზადება	პროფესიული მომზადება	მესამე	20	ქართული	15	ქ. საჩხერე, ივ. გომართელის 50ა, 52

დანართი 7

პროგრამის კოდი	**პროგრამის დასახელება**	**პროგრამის სახე**	**ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე**	**პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში**	**სწავლების ენა**	**მსმენელთა ზღვრული რაოდენობა**	**პროგრამის განხორციელების ადგილი**
02000	სასტუმროს შენობის მოვლა-პატრონობის ტექნიკოსი	პროფესიული გადამზადება	მეხუთე	13	ქართული	15	ქ. საჩხერე, ივ. გომართელის 50ა, 52

დანართი 8

პროგრამის კოდი	**პროგრამის დასახელება**	**პროგრამის სახე**	**ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე**	**პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში**	**სწავლების ენა**	**მსმენელთა ზღვრული რაოდენობა**	**პროგრამის განხორციელების ადგილი**
02004	ქართული მასპინძლობის ელემენტები სასტუმროს მომსახურებაში	პროფესიული გადამზადება	მეხუთე	6	ქართული	15	ქ. საჩხერე, ივ. გომართელის 50ა, 52

დანართი 9

პროგრამის კოდი	**პროგრამის დასახელება**	**პროგრამის სახე**	**ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე**	**პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში**	**სწავლების ენა**	**მსმენელთა ზღვრული რაოდენობა**	**პროგრამის განხორციელების ადგილი**
01998	სასტუმროს მასპინძელი (მიღება-განთავსება)	პროფესიული მომზადება	მეოთხე	13	ქართული	15	ქ. საჩხერე, ივ. გომართელის 50ა, 52

დანართი 10

პროგრამის კოდი	**პროგრამის დასახელება**	**პროგრამის სახე**	**ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე**	**პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში**	**სწავლების ენა**	**მსმენელთა ზღვრული რაოდენობა**	**პროგრამის განხორციელების ადგილი**
01997	სასტუმროს დაჯავშნა და შემოსავლების მართვა	პროფესიული გადამზადება	მეოთხე	12	ქართული	15	ქ. საჩხერე, ივ. გომართელის 50ა, 52

დანართი 11

პროგრამის კოდი	**პროგრამის დასახელება**	**პროგრამის სახე**	**ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე**	**პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში**	**სწავლების ენა**	**მსმენელთა ზღვრული რაოდენობა**	**პროგრამის განხორციელების ადგილი**
01996	სასტუმროს დასუფთავების პერსონალი	პროფესიული მომზადება	მესამე	8	ქართული	15	ქ. საჩხერე, ივ. გომართელის 50ა, 52

დანართი 12

პროგრამის კოდი	**პროგრამის დასახელება**	**პროგრამის სახე**	**ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე**	**პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში**	**სწავლების ენა**	**მსმენელთა ზღვრული რაოდენობა**	**პროგრამის განხორციელების ადგილი**
01994	მცირე და საშუალო ზომის სასტუმროების მართვა	პროფესიული გადამზადება	მეხუთე	8	ქართული	15	ქ. საჩხერე, ივ. გომართელის 50ა, 52